



## საჯარო მმართველობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პაატა ტურავა

საკონტაქტო ნომერი: 577 55 33 89

პროგრამა ორიენტირებულია კარიერულ განვითარებაზე დაფუძნებული პროფესიული საჯარო მოხელეების ახალი თაობის აღზრდაზე. პროგრამა ემყარება საქართველოში განხორციელებულ საჯარო სამსახურის რეფორმას და კურსდამთავრებულებს აძლევს ევროპული დონის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რათა მათ შეძლონ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში წარმატებული მონაწილეობა.

პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 სემესტრი, რაც მოიცავს თეორიული სწავლების, კვლევის და პრაქტიკული უნარების კომპონენტებს. ინტერდისციპლინური პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს მმართველობითი გადაწყვეტილებები სამართლის, ეკონომიკის და სოციალური მეცნიერებების სფეროებში მიღებული ცოდნის ბაზაზე.

თანამედროვე საჯარო მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამა, კვალიფიციური აკადემიური პერსონალი და სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა არის ცოდნის მიღების და საჯარო სამსახურში კარიერის წარმატებით დაწყების გარანტი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №218 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობათა თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტი პირველი (მაღალი მმართველობის დონე), მეორე (საშუალო მმართველობის დონე) და მესამე (უფროსი სპეციალისტის დონე) რანგის პროფესიული საჯარო მოხელისათვის ადგენს სავალდებულო მოთხოვნას - უმაღლეს განათლებას.

ქართული უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს საჯარო მოხელისათვის აუცილებელ პროფესიულ ცოდნას და უნარებს - საჯარო პოლიტიკის, საჯარო ფინანსების და საჯარო სამართლის სფეროში, რაც შესაძლებლობას აძლევს მას დასაქმდეს საჯარო სამსახურის სისტემაში, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში.

დასაქმების სფეროებია საჯარო დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ახორციელებენ დაწესებულების მისია-მიზნებიდან გამომდინარე ძირითად ფუნქციებს საჯარო მმართველობის შესაბამის სფეროებში, ადამიანური რესურსების მართვას, კონტროლსა და ზედამხედველობას და ქმნიან დაწესებულების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებს. კურსდამთავრებულს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული კარიერა განავითაროს უფროსი სპეციალისტისათვის გათვალისწინებული თანამდებობებიდან საშუალო მმართველობის დონემდე და დაიკავოს მაღალი მმართველობის (დაწესებულების მენეჯმენტის) დონის ხელმძღვანელი თანამდებობა

კურსდამთავრებულს შეუძლია, წარმატებით განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, რომლებიც აღიარებენ საქართველოში მიღებულ უმაღლეს განათლებას.

### 1. მიზანი:

საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემა ემყარება კარიერაზე დაფუძნებული პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტს, რაც გულისხმობს შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალი კადრების აუცილებლობას. სასწავლო პროგრამის მიზანია, ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნის ბაზაზე,

სტუდენტებს გამოუმუშაოს ის უნარები, რაც აუცილებელია საჯარო მმართველობის ორგანოებში მმართველობითი უფლებამოსილებების განსახორციელებლად. სასწავლო პროგრამა სტუდენტებს გამოუმუშავებს გადაწყვეტილების მიღების და პრობლემების გადაწყვეტის კომპეტენციებს, რაც მიიღწევა ისეთი უნარების საფუძველზე, როგორცაა სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის (ცოდნის დამოუკიდებლად განახლების), გუნდური მუშაობის, ინტერდისციპლინური აზროვნების და კომუნიკაციის უნარები. კურსდამთავრებულებმა აქტიური როლი უნდა შეასრულონ საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესის წარმატებულად განხორციელებაში. პრაქტიკაზე ორიენტირებულმა სწავლებამ სტუდენტს უნდა მისცეს თეორიული ცოდნის სამუშაო ადგილზე ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში პრაქტიკულ უნარებად ტრანსპორმირების შესაძლებლობა სწავლის პროცესში მიღებული მეცნიერული რეფლექსიის, კვლევის მეთოდების და თეორიულად დასაბუთებული დისკუსიის კომპეტენციების გამოყენებით.

პროგრამა ორიენტირებულია, საჯარო მმართველობაში უზრუნველყოფილი იქნეს კვალიფიციური მენეჯმენტი და ეთიკაზე დამყარებული პესონალის მართვა. კურსდამთავრებულს აქვს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება სამართლის, ეკონომიკის და სოციალური მეცნიერებების სფეროებში მიღებული ცოდნის ბაზაზე, აიღოს პასუხისმგებლობა კვალიფიციური კადრების მართვაზე, ითანამშრომლოს პარტნიორებთან მულტიდისციპლინურ გარემოში და დასახოს საკითხის გადაწყვეტის გზები.

## 2. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, საჯარო მმართველობის მაგისტრატურის შესატყვისი დონით. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს აქვს/შეუძლია:

1. ეფექტური კომუნიკაცია ორგანიზაციის შიგნით და მესამე პირებთან ურთიერთობაში (წარმომადგენლობის უნარი);
2. სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნება გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნებისა და ამოცანების დაგეგმვის პროცესში;
3. ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებისათვის ინდივიდუალური ამოცანების დასახვა მომსახურების გაუმჯობესების და ხარისხის მართვის მიზნით;
4. სიახლეების ინიცირებისა და მართვის უნარი გუნდის გაძლიერების და მართვის ფარგლებში;
5. მოხელეთა პროფესიული განვითარების, შეფასების და მოტივირების უნარი;
6. პრობლემების გადაჭრის და კონფლიქტების მართვის უნარი.

## 3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთგება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			

შუალედური გამოცდა	30	8			
----------------------	----	---	--	--	--

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

#### 4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მისაღებ გამოცდებს სპეციალობასა და ინგლისურ/გერმანულ ენაში - B 2 დონეზე. უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს ან რომელსაც შესაბამისენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, შესაძლებელია, შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა. ვადები, პროცედურები და შესაბამისი, დამატებითი საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და შიდა მობილობის პროცედურების დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში: [www.sangu.edu.ge](http://www.sangu.edu.ge).

#### 5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, გამოიყენება სწავლების შესაბამისი ორგანიზების ფორმები. პროგრამის კომპონენტები, აუცილებელი თანაფარდობით ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლება-სწავლის სალექციო და სასემინარო მეთოდი. თითოეული მათგანი აერთიანებს მეთოდებს და ხერხებს, შესაბამის აქტივობებს, სასწავლო კურსის მიზნების და განსახილველი თემების სპეციფიკის გათვალისწინებით:

ლექცია - ლექტორი ზეპირი ფორმით, პრეზენტაციის საშუალებების გამოყენებით გადასცემს ინფორმაციას სილაბუსით განსაზღვრულ თემაზე. ის გულისხმობს ლექცია პრეზენტაციას და ინტერაქტიული ლექციის ფორმატს. სემინარი - სემინარი ემსახურება ლექციაზე მიღებული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებას. ის ასევე გამოიყენება სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნით.

ლექციასა და სემინარზე გამოიყენება:

- ✓ პრეზენტაცია: ლექტორი ახდენს ახალი თემის ახსნას შესაბამისი დამხმარე საშუალებების გამოყენებით.
  - ✓ ინტერაქტიული ლექცია: ლექცია სტუდენტებთან აქტიური დიალოგის რეჟიმში.
  - ✓ დისკუსია/დებატები –ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიხარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
  - ✓ შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
  - ✓ გადაწყვეტილების ხე - კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ხორციელდება შესაძლო მისაღები გადაწყვეტილებების გრაფიკული გამოსახვა, რაც აერთიანებს დასახული მიზნისკენ მისასვლელ შესაძლო გზებს და თითოეულის პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებს. აღნიშნული მეთოდი აიოლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას.
  - ✓ წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი;
  - ✓ წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს: სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას; რეფერატის შესრულებას და სხვ.
  - ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – საკითხის ასახსნელად და შედეგის მისაღწევად გამოყენებულია პრობლემის დასმა, რომლის შესაღებ მსჯელობამაც სტუდენტი უნდა მიიყვანოს ახალ ცოდნამდე, სწორ გადაწყვეტილებამდე. მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტის ჩართულობას და მოტივაციას.
  - ✓ შემთხვევის ანალიზი (Case study) - საკითხის ასახსნელად და რეალურობასთან მაქსიმალური სიახლოვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება კონკრეტული შემთხვევების განხილვის მეთოდი და ა.შ.
- სწავლის შედეგების მიღწევის აღნიშნული საშუალებები არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს და მეთოდები და აქტივობები კონკრეტულად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით, კურსის განმახორციელებელი ლექტორების მიერ, მათი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, კურსის მიზნების და კურსის ფარგლებში განსავითარებელი კომპეტენციების გათვალისწინებით.